2 726 ა/8492

ჯ. საპოლიტიკო.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 21 (326) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის ნოემბერი

რევოლუციურ საქართველოს,
ნახტომს უდიდესს,
უზარმაზარს,
განსაცვიფრებელს,
რევოლუციურს, ჯერ
არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა, ამ ახალ საქართველოს,
ვაშა, შენებას!

გალაკტიონი

დიდებაა ოქტომბერს!



მოსკოვი. 1973 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. სურათზე: ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

• • •

ოქტომბრის ზეიმი წითელ მოედანზე

სსრ კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავი აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ახალი გამარჯვებებით. მხურვალედ, ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს ჩვენი ხალხი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობას, რომლებიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამას.

ღრმად სიმბოლურია, რომ ამას წინათ დამთავრებული მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი მუშაობდა მოსკოვში — იმ სახელმწიფოს დედაქალაქში, რომელმაც პირველად კაცობრიობის ისტორიაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ზრუნვა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დასახა.

ამის შესახებ ამომწურავი სისრულით თქვა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა:

„მშვიდობა — ხალხებს!“ — აი ერთი იმ ძირითადი ლოზუნგთაგანი, რომლებითაც 56 წლის წინათ, გაჩაღებული პირველი მსოფლიო ომის დროს, განახორციელეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ოქტომბრის რევოლუცია. მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პირველი საკანონმდებლო აქტი იყო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი დეკრეტი ზავის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ამ ისტორიული დოკუმენტით მიმართა არა მარტო ყველა ქვეყნის მთავრობებს, არამედ ამ ქვეყნების ხალხებსაც და გამოთქვა ჩვენი სახელმწიფოს ურყევი მისწრაფება სამართლიანი, დემოკრატიული მშვიდობისადმი... და დიდი ოქტომბრის შემდგომ განვლილი მთელი წლების მანძილზე ჩვენ განუხრელად, თანმიმდევრულად ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენს პლანეტაზე სწორედ მშვიდობის გამარჯვებისათვის“.

ოქტომბერი და მშვიდობა განუყოფელია ადამიანთა შეგნებაში. და დღეს, როგორც ყოველთვის, ამ სადღესასწაულო დღეს მთელი პლანეტა გულმოდგინედ უსმენს კრემლის კურანტების საზეიმო რეკვას.

საზეიმოდ არის მორთული წითელი მოედანი. კრემლის კურანტების ისარი ათს უახლოვდება. მოედანზე ქუხს მძლავრი ოვაცია: გრიალებს ტაში, „ვაშა!“, გაისმის შეძახილები — „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება! დიდება! დიდება!“. ეს მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები გულითადად მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, პ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ჰ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. ფ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, პ. თ. კატუშევი.

დილის ათი საათია. მაცხოვრის კოშკის კარიდან ღია მანქანით გამოდის პარადის მიმღები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, ისტორიული მუზეუმიდან შესახვედრად მოემართება პარადის სარდლის მანქანა. მოედნის ცენტრში, მავზოლეუმის წინ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ლ. გოშპოროვი პატაკს აბარებს თავდაცვის მინისტრს. პატაკის მიღების შემდეგ მინისტრმა ჩამოუარა ჯარებს და პარადის მონაწილეებს მიულოცა დღესასწაული. პასუხად გაისმის მძლავრი „ვაშა!“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ა. ა. გრეჩკო მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვას ამბობს.

სადღესასწაულო დარბაზობა კრემლის ყრილობათა სასახლეში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 7 ნოემბერს მოაწყო დარბაზობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავის გამო.

დარბაზობაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის ვეტერანები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირისა და გვარეობათა ჯარების ხარშლები, გენერლები და ადმირალები, ცენტრალური უწყებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, წითელ მოედანზე გამართული სამხედრო პარადის მონაწილეები.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე უცხოელი სტუმრები, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვში დღესასწაულზე, მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის მონაწილეები.

დარბაზში იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

შეკრებილთ მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ძვირფასო მოსკოველებო!

პატივცემულო უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებო!

ძვირფასო სტუმრებო!

დღეს ჩვენი სამშობლოს ხალხები ზეიმით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავს.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს დღესასწაული ჭეშმარიტად იქცა ინტერნაციონალურ დღესასწაულად, ყველა მშრომელი ადამიანის დღესასწაულად. დიდი ოქტომბრის იდეები, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის მოძღვრება ახლობელი და გასაგებია მთელი ჩვენი პლანეტის მშრომელებისათვის. დიდმა ოქტომბერმა გამოაღვიძა ხალხის მასების უზარმაზარი ძალები, დაუსახა მათ ახალი ისტორიული ჰორიზონტები.

ჩვენთან ერთად დიდი ოქტომბრის წლისთავს დღეს ფართოდ აღნიშნავენ მომძლ სოციალისტური ქვეყნების ხალხები.

ოქტომბრის რევოლუციის ტალღამ ხელი შეუწყო კოლონიალიზმის ბორკილების მსხვრევას. და სავსებით გასაგებია ის მზურვალე სიმპათიის გრძნობა, რომლითაც დღეს ოქტომბრის სამშობლოს ეკიდებიან იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ხალხები.

ახლა განსაკუთრებით ცხადია იმ საქმის მსოფლიო-ისტორიული, პროგრესული არსი და უძლეველობა, რომელსაც დასაბამი მისცა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

ამ დღეს ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში მუშები, კოლმეურნეები, სახალხო ინტელიგენცია, მილიონობით საბჭოთა ადამიანი ცხადყოფენ თავიანთ ერთგულებას ოქტომბრის რევოლუციური იდეალებისადმი, ლენინური პარტიისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი.

სახელოვანი შრომითი საქმეებით აღნიშნა საბჭოთა ხალხმა ოქტომბრის რევოლუციის 56-ე წლისთავი. მისი შრომითი გმირობით გამოირჩევა ბევრი რამ — პარტიის პრინციპული, შემოქმედებითი, თანმიმდევრული ლენინური ხაზი, მისი უნარი — აღანთოს მასები შრომითი პათოსით, სოციალისტური შეჯიბრების უმაგალითო გაჭანება, საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი გრძნობა, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა. ჩვენ გულდაჯერებით მივდივართ წინ, თუმცა ისტორია არ გვანებივრებს იოლი გამარჯვებით. და მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის დღევანდელი წარმატებანი.

ამ საზეიმო დღეს ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მადლობა ვუძღვნათ მუშებსა და სოფლის მუშაკებს, ჩვენს შრომით ინტელიგენციას, ჩვენს ახალგაზრდობასა და მთელ საბჭოთა ხალხს მათი შრომისათვის, მათი მხარდაჭერისა და ჩვენი ლენინური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ბრძოლისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

დღეს სამხედრო პარადის ზუსტ მწყობრში ჩაიარეს საბჭოთა არმიისა და ფლოტის — იმ არმიის მეომრებმა, რომელიც შეიარაღებულია როგორც თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე იდეალებით, ისე ყველაზე მოწინავე სამხედრო ტექნიკით. (ტაში). რევოლუციური პროლეტარიატის საბრძოლო ტრადიციების განმგრძობნი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა მეომრები საიმედოდ იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს. სოციალიზმის, შრომის, თავისუფლებისა და მშვიდობის საქმეს. (ხანგრძლივი ტაში). ჩვენ წვიდად ვიხსენებთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ანდერძს, რომ საჭიროა და უნარი უნდა შეგვწევდეს დავიცვათ რევოლუციის საქმე, მუშათა კლასის საქმე. (ხანგრძლივი ტაში).

ძვირფასო ამხანაგებო!

პატივცემულო სტუმრებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაული! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ სადღეგრძელო დიდი ოქტომბრის 56-ე წლისთავისა, ლენინური პარტიისა, რომელიც მიზანდასახულად მიუძღვის საბჭოთა ხალხს სოციალური პროგრესის გზით, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ჯანმრთელობას, წარმატებებსა და ბედნიერებას ვუსურვებ საბჭოთა ადამიანებს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

• • •

დარბაზობამ გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, დარბაზობის მონაწილეთათვის გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.



თბილისი. 1973 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავის დღესასწაული. სურათზე: რუსთაველის პროსპექტის ცენტრალურ ტრიბუნაზე.

ლენინის დროშით, ოქტომბრის გზით

დიდებული, მძლავრი, ლამაზი დღესასწაულია ოქტომბერი. ლამაზად მორთულა საქართველოს დედაქალაქი, ათასობით ადამიანი გამოვიდა დემონსტრაციაზე. ყველგან დროშების ზღვა, ტრანსპარანტები, პლაკატები, პანოები. საზეიმო ფერებში ჭარბობს წითელი ფერი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ფერი. ნიავი არხევს 56 წითელ ალამს, რომლებზეც აღბეჭდილია ორმოცდათექვსმეტი გმირული წელი, გამოვლილი 1917 წლის ოქტომბრიდან — ზამთრის სასახლის შტურმიდან დღემდე, კომუნისტური მშენებლობის დღეებამდე. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ფრონტონზე რევოლუციის ბელადის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტია.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს ქართველი ხალხი აღნიშნავს ვითარებაში, როცა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა გულდაჯერებით გადის მოწინავე პოზიციებზე, სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ათი თვის გეგმა. მიღწეულია გარკვეული წარმატებანი მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. რეკორდული მოსავალი მოიწიეს წელს მეჩაიეებმა და მბვნელმთესველებმა.

ხალისიან, კარგ გუნებაზე არიან ადამიანები, მათ სჭერათ ხვალინდელი დღისა, მზად არიან ახალი შრომითი გამარჯვებებისა და მიღწევებისათვის. ყოველივე ეს არის შედეგი დიდი, მრავალმხრივი მუშაობისა, რომელსაც ახორციელებს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, და რომელსაც დადებითად აფასებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი.

...რუსთაველის პროსპექტი! დღეს იგი განსაკუთრებით ლამაზია. ჩამწკრივებულან საზეიმო მარშისათვის გამზადებული ჯარები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ბ. გ. გოგიბერია, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. უარყარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი, ვ. ი. ვადაჭკორია, ა. მ. ლაბახუა, ე. მ. ჯაფარიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. კ. შარტავა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. გ. შელეპინი, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი ა. გ. ვიქტოროვი.

საოქტომბრო დღესასწაულზე თბილისში მოიწვიეს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის სახელით და დავალებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი პ. ვ. მელნიკოვი მიესალმება და ულოცავს ჯარისკაცებს, სერჟანტებს, პრაპორშჩიკებს, ოფიცრებსა და გენერლებს, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავის საყოველთაო-ხალხო დღესასწაულს.

ჯარების პარადის შემდეგ საზეიმო მსვლელობას ხსნის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მრავალრიცხოვანი კოლონა. მოდიან ადამიანები, რომლებიც სამაგალითონი არიან შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით, შეასრულეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის პირადი დავალებანი და მტკიცე საფუძველი შეუქმნეს მომავალ წარმატებას. ესენი არიან ფაბრიკა-ქარხნების, შახტების, მშენებლობების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების გმირი მშრომელები. ეს ის ხალხია, ვინც ძალ-ღონეს არ იშურებს საყვარელი სამშობლოსათვის, ვინც სამშობლოს ბედნიერებას ახმარს მთელ თავის გონებასა და ენერგიას, შემოქმედებას, ისინი, ვისაც სამართლიანად უწოდებენ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ოქროს ფონდს. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ცხოვრების უზენაეს მიზნად მიაჩნიათ მშობლიური კომუნისტური პარტიის, ხალხის სამსახური.

ტაშით ეგებებიან ლენინის რაიონის მშრომელთა წრმომადგენლებს, რომლებმაც პირველი ადგილი დაიკავეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ცხრა თვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით. საოქტომბრო შრომითს ვახტზე მოპოვებულ გამარჯვებებს გვამცნობენ ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი, ავჭალის სილიკატური მასალების ქარხნების, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, შამპანური ღვინოების ქარხნის, ჩაის საწონი ფაბრიკის და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

სადღესასწაულო დემონსტრაცია — ეს არის ნაირფერადი წიგნი, რომელიც ასახავს შრომითს გამარჯვებებს, გვიამბობს აღმშენებლობის ახალ მიჯნებზე. თავიანთი საწარმოების ემბლემებით მოდიან პირველი მაისის, ოქტომბრის, კალინინის, კიროვის, 26 კომისრის, საქარხნო, ორჯონიკიძის რაიონების მუშა-მოსამსახურენი, ინჟინრები, ტექნიკოსები. ყოველი რაიონის კოლონას წარმოების მოწინავენი მოუძღვიან.

კოლონების თავზე ფრიალებს ტრანსპარანტები სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებით. ისინი ადიდებენ საბჭოთა ხალხს, ადღეგრძელებენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას, მიმართავენ მსოფლიოს ხალხებს. ეს მოწოდებანი გამსჭვალულია კაცობრიობისათვის ზრუნვით.

ერთმანეთის მხარდამხარ ძმურად ხელიხელჩაკიდებულნი მოდიან ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ ერთიან, ერთსულოვან ოჯახად შეაკავშირა. ოქტომბერი გახდა უველა მოძმე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აღმავლობის მძლავრი წყარო.

უსაზღვროა თაობათა ესტაფეტა. მოდის მჭიდროვე, მგზნებარე ახალგაზრდობა, ისინი, ვინც უნდა განაგრძონ მამა-პაპათა საქმე. სამშობლომ საბჭოთა ახალგაზრდობას მისცა ყოველივე საჭირო, რათა შეეძლოს ისწავლოს, იმუშაოს, ბედნიერად იცხოვროს.



თბილისი. 1973 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავის დღესასწაული.

ვლ. გინზბურგის ფოტოები

მშვიდობა ფასდაუდებელი განძია. იცხოვრო ისე, როცა იცი, რომ არსად არ იღვრება სისხლი, დარწმუნებული იყო, რომ ხვალ შენი სახლის სახურავს არ დააცვივა ბომბები და ყუმბარები, და ბავშვები ისე გაიზრდებიან, რომ არ გადახდებათ ტრაგედიები და ტანჯვა, რომელიც უფროსმა თაობებმა გადაიტანეს.

ლეონიდ ბრეჟნევი

მშვიდობის მსოფლიო კონგრესი



მოსკოვში, ყრილობათა სასახლეში, ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მშვიდობისმოყვარე ძალთა მსოფლიო კონგრესი. მშვიდობისათვის მოძრაობას არ ახსოვს ესოდენ ხალხმრავალი თავყრილობა, სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებების, სხვადასხვა სოციალური და ეკონომიური ფენების წარმომადგენლების ესოდენი გაერთიანება — 3000-ზე მეტმა დელეგატმა, სტუმარმა და გარეშე წარმომადგენელმა მოიყარა თავი ყრილობათა სასახლის გაკაშკაშებულ დარბაზში. ჩვენს დედაქალაქში 144 ქვეყნის, 9 საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციის, 117 საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი ჩამოვიდა, რათა გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა მშვიდობის დასაცავად და განსამტკიცებლად. მათ ერთი აზრი ასულდგმულებდათ — სამუდამოდ მოისპოს ომის საშიშროება; რასაც ადამიანის გონება და შრომა ქმნის, ადამიანსავე მოხმარდეს საკეთილდღეოდ.

კონგრესს დიდი სამზადისი უძღოდა წინ. მრავალ ქვეყანაში მშვიდობისმოყვარე ადამიანები ძალსა და ღონეს არ იშურებდნენ ამ დიდი ფორუმის განსახორციელებლად, კონგრესის ჩასატარებლად. ნაციონალურ საორგანიზაციო კომიტეტებთან ერთად შექმნილი იყო საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარის მოადგილემ შონ მაკბრაიდმა, მშვიდობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტმა, ირლანდიის უოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა 1973 წლის 25 ოქტომბერს 16 საათზე გახსნა მშვიდობისმოყვარე ძალთა ეს საერთაშორისო კონგრესი. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები მრავალი ქვეყნიდან. იგი მიესალმა დაძაბულობის შენელების ერას და აღნიშნა, რომ დაძაბულობის შენელება უნდა განხორციელდეს არა მარტო მთავრობებს შორის მოლაპარაკების გზით, არამედ იგი უნდა შევიდეს დედამიწის ყველა მცხოვრების შეგნებაში და განმტკიცდეს ხალხთა შორის მჭიდრო თანამშრომლობით.

შონ მაკბრაიდმა კონგრესის პირველი პლენარული სხდომის თავმჯდომარეობა გადასცა მსოფლიო კონგრესის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს რომეშ ჩანდრას.

საბჭოთა ხალხის, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარე მიმართულების ნათელი გამოხატულება იყო პლენარულ სხდომებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელების დასწრება.

სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის სიტყვამ 26 ოქტომბრის საღამოს პლენარულ სხდომაზე კიდევ ერთხელ დაანახვა სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს საბჭოთა კავშირის მზადყოფნა — განუხრელად და მტკიცედ დაიცვას ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა.

რომეშ ჩანდრამ ამ კონგრესს უწოდა მსოფლიოს ხალხთა პირველი გენერალური ასამბლეა. მან თქვა, რომ ამ უპრეცედენტო კონგრესის დახასიათება შეიძლება ოთხი სიტყვით: ერთობლივი — რადგან ჩვენ კონგრესს გამზადებდით ერთობლივ, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, ღია—რადგან მისი კარი ღიაა ყველასათვის, ვინც იზიარებს მშვიდობის დაცვის იდეას, დიალოგი — რადგან ჩვენ ვსაუბრობთ, ვკამათობთ სხვადასხვა საწინააღმდეგო აზრების შესახებ და, ბოლოს, მოქმედება — ჩვენ ვსაუბრობთ, ვკამათობთ, იმისათვის, რომ დავგეგმოთ ჩვენი ერთობლივი მოქმედება მშვიდობის დასაცავად. რომეშ ჩანდრამ თქვა, რომ დღევანდელი ჩვენი კონგრესი—ეს მარტო მშვიდობის დამცველთა კონგრესი კი არა, მშვიდობის მშენებელთა კონგრესიც არის.

ამაღელვებელი იყო ჩილეს ყოფილი პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ქვრივის ორტენსია ბუსი დე ალიენდეს გამოსვლა. მან მოგვითხრო იმ საშინელი უსამართლო ტრაგედიის შესახებ, რომელიც ჩაიდინა ხუნტამ ჩილელი ხალხის მიმართ. სახალხო ერთიანობის მთავრობა ცეცხლითა და მახვილით იყო დამხობილი, იმიტომ რომ მან ხალხს ცხოვრების დონის ასამაღლებლად დაუბრუნა თავისი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე.

მთელი დარბაზი დაიძაბა, როცა გაისმა სალვადორ ალიენდეს ხმა — მისი უკანასკნელი გამოსვლის ჩანაწერი:

„ამ ისტორიულ ვითარებაში მე ჩემს სიცოცხლეს ვწირავ ხალხის ერთგულებას. მე თქვენ სრული რწმენით გეუბნებით, რომ თესლი, რომელიც ჩვენ ჩავთესეთ ათასობით ჩილელის შეგნებაში, არ შეიძლება ძირფესვიანად იყოს ამოგლეჯილი“.

მუშაობის წესრიგში იდგა 14 პრობლემა, რომელთა გარშემოც მუშაობდნენ კონგრესის საგანგებო კომისიები. ეს პრობლემებია: 1. მშვიდობიანი თანაარსებობა და საერთაშორისო უშიშროება, 2. ინდოჩინეთი, 3. ახლო აღმოსავლეთი, 4. უშიშროება და ურთიერთთანამშრომლობა ევროპაში, 5. უშიშროება და მშვიდობა აზიაში, 6. განიარაღება, 7. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, 8. განვითარებადი ქვეყნების წინსვლა და ეკონომიური დამოუკიდებლობა, 9. გარემო, 10 თანამშრომლობა განათლების და კულტურის სფეროში, 11. ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, 12. სოციალური პრობლემები, ადამიანის უფლებები და მშვიდობა, 13. მთავრობათაშორის და სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომლობა და, ბოლოს, არსებულმა ვითარებამ განაპირობა მეთოხმეტე კომისიის გამოყოფა ჩილეს საკითხზე. კომისიების მუშაობას, რომელიც სექციურ სხდომებზე ტარდებოდა, ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნებიდან: იოზეფ ცირანკევიჩი (პოლონეთი), ანდრე სუკიერი (საფრანგეთი), ჯ. ჩობჩე (იუგოსლავია), რაიმონ ჰოორი (ბელგია), აკადემიკოსი ევგენი ფედოროვი (სსრკ), ჯეიმს ოლდრიჯი (ინგლისი), პროფესორი ნემშაკი (ავსტრია), კრეტინელსენი (მსოფლიო ფედერალისტების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი) და სხვები.

კომისიების სხდომები დელეგატებისა და სტუმრების დიდი აქტივობით მიმდინარეობდა — ზოგიერთი საკითხის განხილვისას აზრი გამოთქვა ასზე მეტმა პირმა. კომისიების რეზოლუციები ერთსულოვნად იყო მიღებული და მათ თავიანთი ასახვა ჰპოვეს კონგრესის საბოლოო გადაწყვეტილებაში, რომელიც მშვიდობისმოყვარე ძალთა მსოფლიო კონგრესის მოწოდებად გამოქვეყნდა.

მე ვმუშაობდი მეცხრე კომისიაში, სადაც იხილებოდა ადამიანის და გარემოს ურთიერთობის საკითხი. მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი გამოვიდა სიტყვით. მოიყვანეს მაგალითები ბუნებრივი რესურსების არასწორი და არამზაზანშეწონილი ექსპლუატაციისა, გარემოს გაბინძურების (წარმოების ნარჩენებით, რადიაქტიური და სხვადასხვა ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებებით), ტყის მასივების განადგურების, ნიადაგის გამოფიტვის დედამიწაზე და წყალში ფაუნისა და ფლორის გადაშენების შესახებ, მაგრამ ის, რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ილაპარაკა, შემაძრწუნებელი იყო. მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მან ცხადი ჩვენა, რომ თუ ახლო დროში გადამწყვეტი ზომები არ იქნება მიღებული, მის ქვეყანას აღარ ექნება სასმელი წყალი, თევზი, დაშრება მდინარეები. კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ვიეტნამელი დელეგატის გამოსვლამ. მან თქვა: ომმა, დაბომბვამ, ტანკებმა იმდენად დააზიანეს მიწის ზედაპირი, რომ სრულიად მოისპო ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ნათესი აღარ ამოდის,

როგორც ყველა სხვა კომისიის რეზოლუციამ, ისე მეცხრე კომისიის რეზოლუციამაც ჰპოვა თავისი ასახვა კონგრესის მოწოდებაში.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ ჩვენ, ყველა ხალხები, მოვითხოვთ:

— განხორციელდეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც ემყარება საერთაშორისო უშიშროებასა და ქვეყნებს შორის სასარგებლო თანამშრომლობას, ყველა ქვეყნის თანასწორუფლებიანობას, ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, ეროვნულ დამოუკიდებლობას, ქვეყნის შინაგან საქმეებში ჩაურევლობას, ძალის გამოყენებაზე უარის თქმას, რასიზმის, კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის ყოველგვარი გამოვლინების ლიკვიდაციას,

— საყოველთაო და სრული განიარაღებას,

— საერთაშორისო კონვენციის მიღებას, რომელიც კრძალავს ბირთვული იარაღის გამოყენებას, წარმოებას, გამოცდას, დაგროვებას,

— ყველა სახის აგრესიის შეწყვეტას,

— სიღარიბის, უწიგნურობის, დაავადებების ლიკვიდაციაზე და განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებაზე იმ თანხების მოხმარებას, რომელიც დღეს სამხედრო მიზნით იხარჯება,

— უსამართლობის მოსპობას და ადამიანის უფლებების უფრო ეფექტურ დაცვას,

— ყველა ხალხის უფლებას, თვითონ ფლობდეს და განაგებდეს საკუთარ რესურსებს,

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებების შესრულებას, როგორც მშვიდობის, უშიშროების და სამართლიანობის განმტკიცების აუცილებელ პირობას.

კონგრესმა ერთსულოვნად მიიღო მოწოდება და, როგორც რომეშ ჩანდრამ კონგრესის დახურვისას თავის საბოლოო სიტყვაში თქვა, ეს მოწოდება სამუშაო პროგრამად იქნა მიღებული მომავალი წლების მანძილზე ყველა მშვიდობისმოყვარე კეთილი ნების ადამიანისათვის.

ნინო ჯავახიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა

29 ოქტომბერს თურქეთმა თავისი ქვეყნის დიდი დღესასწაული აღნიშნა — 50 წლის წინათ ქვეყნის დიდმა ეროვნულმა კრებამ თურქეთი რესპუბლიკად გამოაცხადა.

რესპუბლიკა ყალიბდებოდა ძნელ პირობებში, როცა თურქი ხალხი ებრძოდა სულთანის ძირმომშალ რეჟიმს და მის მხარდამჭერ იმპერიალისტურ ძალებს.

ამ მძიმე დროს თურქეთს დახმარების ხელი გაუწოდა ახალგაზრდა საბჭოეთმა. საბჭოთა მთავრობამ არათუ მსოფლიოში პირველმა სცნო თურქეთის ახალი ძთავრობა, არამედ მატერიალური დახმარებაც გაუწია მებრძოლ რესპუბლიკას. საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის სათავეებთან იდგნენ მსოფლიოს პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი და თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ქემალ ათათურქი.

„თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, — ამბობდა ათათურქი, — აქამდე საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის მხოლოდ სიკეთე და სარგებლობა მოჰქონდა. იგი შემდგომშიც სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება“.

ამ სიტყვების სამართლიანობას ადასტურებს ორი ქვეყნის ყოველმხრივი თანამშრომლობის ახლანდელი წარმატებული განვითარება, რასაც დიდად უწყობს ხელს სახელმწიფო მოღვაწეთა ორმხრივი ვიზიტები. მჭიდრო, საქმიანი კონტაქტებისათვის ფართო პერსპექტივები შეიქმნა მას შემდეგ, რაც 1967 წლის მარტში დაიდო შესაბამისი საბჭოთა კავშირ-თურქეთის შეთანხმება.

თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში სსრ კავშირის ეკონომიური და ტექნიკური ხელშეწყობით შენდება მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო ობიექტები.

გასულ წელს ამოქმედდა გოგირდმჟავას ქარხანა, პროდუქციას უშვებს იზმირის მიდამოებში მოქმედი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. სეიდი-შეხირის ალუმინის ქარხნის მშენებლობის დამთავრების შემდეგ თურქეთი შეძლებს არა მარტო უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილება ალუმინზე, არამედ საზღვარგარეთსაც გაუგზავნოს პროდუქციის ნაწილი. მნიშვნელოვანწილად დააკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნილებას ლითონზე ახალი მეტალურგიული კომბინატიც, რომელიც საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით შენდება ისკენდერუნის მახლობლად.

კეთილნაყოფიერად ვითარდება ორი მეზობელი ქვეყნის კონტაქტები კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში.

საბჭოთა ხელოვნების მოყვარულნი გულთბილად იღებენ ცნობილ პიანისტს იდილ ბირეტს, მომღერალ სუნა კორატს, ბალერინა მერიჩ სიუმენსა და სხვა მსახიობებს. თურქი მაყურებელი მჭუხარე ტაშით ხვდებოდა საგასტროლოდ ჩასულ დავით ოისტრახს, იაკობ ფლიერს, მარინე მდივანს.

დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც თავის თურქ კოლეგებთან ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს.

29 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა ბათუმში ტენიკალ მეჰმედ ალიმ საკონსულოს შენობაში დარბაზობა გაუმართა ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლებს თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

მოწვეულთა შორის იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური წარმომადგენელი ბათუმში ი. პოპოვი, ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ლომთაძე, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარის რესპუბლიკური კანტორის მმართველი ა. ზეიშვილი და სხვები.


დარბაზობის დროს თურქეთის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა ტენიკალ მეჰმედ ალიმ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური წარმომადგენელმა ბათუმში ი. პოპოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

დარბაზობამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

გათენდა, ცეცხლის მხ



თბილისი, 1973 წ. 2 ნოემბერი. საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. ვლ. გინზბურგის ფოტო.



საუკუნის კარიბჭესთან

ქართველი ხალხი შემოდგომობით, როცა ჭირნახულს აიღებს და ქვეყნად ბარაქას დახავებს, შოთაობას — პოეზიის დღეებს ზეიმობს, მაგრამ სულ სხვა ეშხი და ლაზათი ჰქონდა წლევანდელი შემოდგომის ლექსის დღესასწაულს. ამ სულით ამაღლების წმინდა ყამს „ლურჯა ცხენებმა ჩქარი გრგვენვა-გრიალით“ საუკუნის კარიბჭესთან მოაქროლეს მეფე-მგოსანი გალაკტიონი!

და შედგა დიდი შემოქმედი ამ კარიბჭესთან, ვითარცა „სვეტიწყორწმინდა“, ვითარცა მთაწმინდის მთვარის ნათელი, ვითარცა „რევოლუციური, ჯერ არნახულ, ჯერ არგაგონილ“ ახალი საქართველოს მოქალაქე და მომღერალი.

„ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა,
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
სთქვა: „სამშობლო,
უპირველეს ყოვლისა!“

დე, ბრწყინავდეს დროშად თვითეულისა
საქართველოს მკერდი ორდენოსანი,
მისი მიწა, მისი მზე სხივოსანი,
ის გიყვარდეს, უპირველეს ყოვლისა!“

აი, ამად იწამა მშობლიურმა ხალხმა თავისი მგოსანი! ამად იქცა პოეტის 80 წლისთავი საყოველთაო-სახალხო ზეიმად!

ამ ძვირფასი თარიღის აღსანიშნავად მგოსნის სამშობლოს სტუმრად ეწვივნენ ქართული კულტურის მეგობარი მწერლები და პოეტები მოსკოვიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან.

ეს ზეიმი კი 1 ნოემბერს დაიწყო. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში თავი მოიყარეს გალაკტიონის პოეზიის თაყვანისმცემლებმა, ქართველმა მწერლებმა, ჩამოსულმა სტუმრებმა. ყვავილებით შეამკეს მგოსნის საფლავი.

დღის 12 საათზე რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო-საზეიმო პლენუმი.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი რუსი პოეტი ვ. ბოკოვი, უკრაინელი პოეტი ბ. ოლეინიკი, რომელმაც უკრაინულად თარგმნილი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ჰე, მამულო“ წაიკითხა, ბელორუსი პოეტი ვ. ადამჩიკი, ყურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე, კრიტიკოსი ლ. ლავლინსკი.

პოეტთან შეხვედრის თბილი მოგონებებით გამოვიდნენ მოსკოველი ლიტერატორები ა. ტარკოვსკი და ი. გრინბერგი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ ილაპარაკეს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბესარიონ უღენტმა, აფხაზმა პოეტმა ივანე თარბამ, კრიტიკოსებმა გიორგი მარგველაშვილმა და გურამ ასათიანმა.

პოეტებმა ი. სნეგოვამ, ე. ნიკოლაევსკაიამ, ვ. ლეონოვიჩმა, კ. კასუმ-ზადემ, მ. სინელნიკოვმა, ინგლისელმა ქართველოლოგმა დონალდ რეიფილდმა წაიკითხეს გალაკტიონის ლექსების საკუთარი თარგმანები.

გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსები წარმოთქვეს პოეტებმა: ფრიდონ ხალვაშმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ბონდო კეშელავამ, ლადო სულაბერიძემ, მარიკა ბარათაშვილმა, ნაზი კილასონიამ, გიორგი კაჭახიძემ, რეზო ამაშუკელმა, ალექსანდრე ბეგაშვილმა, გიორგი წერეთელმა, ბუღატ ოკუჯავამ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვიქტორია სირაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ი. კუზმენკო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

2 ნოემბერს საიუბილეო ზეიმის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს დიდი ლენინის ძეგლი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მეხოტბე შოთა რუსთაველის ძეგლთან მივიდნენ თაიგულებით. ამის შემდეგ გაიმართა თბილისის შრომელთა მიტინგი, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ძეგლისათვის საძირკვლის ჩაყრას მიეძღვნა. მგოსნის ბრინჯაოს ძეგლი აღმართება ილია ჭავჭავაძის გამზირზე.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბახვა ლობუანიძემ. სიტყვა წარმოთქვეს მწერალმა სერგი ჭილაიამ, ცნობილმა რუსმა მწერალმა და დრამატურგმა, ყურნალ „ოგონიოკის“ მთავარმა რედაქტორმა ა. სოფრონოვმა, ცნობილმა უკრაინელმა მწერალმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა მ. ტელემახმა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალმა, სოციალისტური შრომის გმირმა შ. ფირცხალავამ, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა დ. მენაბდემ.

გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა მორის ფოცხიშვილმა და რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა მურმან ლებანიძემ.

მიტინგზე იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვიქტორია სირაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი პავლე გილაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი სერგო რიგვავა.

ამავე დღეს გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში გაიხსნა გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი დაესწრო.

დღის ბოლოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოეწყო საზეიმო-საიუბილეო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვიქტორია სირაძემ. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ სტუმრები: სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ა. სურკოვი, უკრაინის მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ზაგრებელნი, ბელორუსი პროზაიკოსი ა. მარტინოვიჩი, პოეტური სიტყვით მწერალი აზიზ ნესინი, თურქმენი დრამატურგი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჰ. მუხტაროვი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. მკრტიჩიანი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის მდივანი ჯ. ნოვრუზი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ი. თევდორაძე.

საიუბილეო საღამოზე წაიკითხეს გამოჩენილი საბჭოთა პოეტის, სოციალისტური შრომის გმირის, ქართული ლიტერატურის მეგობრის ნიკოლოზ ტიხონოვის დეპეშა, რომელშიც, სულით გულით მიესალმებოდა და ლი პოეზიის დღესასწაულს საქართველოს შესანიშნავი ხალხ პოეტის გალაკტიონ ტ 80 წლის იუბილეს!“.

საიუბილეო საღამოზე ბ. გიგინეიშვილი, ა. ბილაშვი ა. ინაური, შ. ამყნაძე, ა. რაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჯინი, გ. ქორჭიძე, გ. ხიშვილი, თ. გასაშვილი უარქარაშვილი, ო. ჩერქე


საზეიმო კონცერტში მო ლეობა მიიღეს ქართული ხ ნების საუკეთესო ოსტატე

8 ნოემბერს პოეტის საიუ ზეიმმა მისი ბავშვობისა და ბის მხარეში გაგრძელდა.



აქ აღიმარ

...ზე ადრე ადამიანი, აცურდა...



გალაკტიონის პოეტური ენა

გალაკტიონ ტაბიძის ენა ნიშანდობლივია რაფინირებისა და ამაღლებულობისა. გალაკტიონის ენაში ხალხურობას არა აქვს დაკისრებული სტილური კომპონენტის როლი და დანიშნულება. თუ ხალხური ციტატები ძალზე იშვიათად მაინც გვხვდება ჩვენი პოეტის ლექსებში, ეს არ უნდა მივიჩნიოთ გალაკტიონისეული ლექსის სტრუქტურის განმსაზღვრელ ელემენტად.

არც არქაული ენობრივი ფორმებია ამოტივტივებული ტაბიძის პოეტურ ენაში. პოეტი თუ ზოგჯერ მიმართავს კლასიკური სალიტერატურო ენის მყარ ნორმებს, აქაც დიდი ზომიერებაა დაცული და ესინი ორგანულად ეხამებიან თანამედროვე ლექსის სტრუქტურას. ენობრივი დახვეწილობა და, ამასთანავე, სიტყვის არტისტიზმი უპირველესი ნიშანთვისებაა მისეული ენისა. მან ახალ საფეხურზე აიყვანა ტრადიციული პოეტური მეტყველება.

გალაკტიონ ტაბიძემ გარდატეხა მოახდინა ქართული ლექსის ტექნიკაში; 1914-1915 წლებში მის მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე ლექსი ფაქტი იძლეოდა პოეტიკაში ახალი ძვრების დაწყების საფუძველს.

ვაჟასა და აკაკის გარდაცვალების შემდეგ ქართულ ლიტერატურულ პრესაში გაისმა სიტყვები: „უმეფობა, ლიტერატურული ტრაური!“. ამ დროს გალაკტიონ ტაბიძეს წილად ხვდა, საკუთარ დაედო ახალი ვერსიფიკატორული ძიებისათვის და თვით გამხდარიყო პოეტიკაში ახალი ფორმების დამფუძნებელი.

ცნობილია ვერლენის პოეტური ლოზუნგი — „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. გალაკტიონის ლექსი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ იმით ეხმიანება ფრანგი კოლეგის ლოზუნგს, რომ მისეულ ფორმულირებაში პოეზია მუსიკის სინონიმად არის დასახული და, მაშასადამე, აქ თვალსაზრისთა ერთიანობაა, ოღონდ კონკრეტიზებულად, რომ მუსიკა-პოეზია ერთი მთლიანია, განუყოფელია, ეს ორი ცნება ერთ ცნებად არის ჩამონაკვთილი.

ცნობილია, რომ „პოეტი“ ბერძნებისათვის ნიშნავდა არა მარტო ლექსის მთხზველს, არამედ კომპოზიტორსაც. პოეტებს თავიანთი ლექსების შეთხზვისას მხედველობაში ჰქონდათ ჰანგი, რომელზეც დაამღერებდნენ ლექსებს. ამიტომ ისინი ერთსა და იმავე დროს ქმნიდნენ ლექსსაც და ჰანგსაც. ლექსი და ჰანგი წარმოიშვა ერთად, ერთი შემოქმედებითი აქტის შედეგად.

სწორედ აქ უნდა ვეძიოთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსის გასაღებიც. ტაბიძის ლექსი გამოირჩევა არაჩვეულებრივი მელოდიურობით და XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ამ მხრივ გალაკტიონი შეუდარებელია. ისიც აღსანიშნავია, რომ მისი პოეზია მოკლებული თვითმყოფად ფორმალისტურ ექსპერიმენტებს, როგორც ეს არაიშვიათად ახასიათებთ მელოდიურობით გატაცებულ პოეტებს. ეს ნიშანი ანათესავებს ტაბიძეს რუსთაველთან, გურამიშვილთან, აკაკისთან. გალაკტიონის ლექსის მუსიკალურობასთან შინაგან კავშირშია ლექსის მისეული წარმოთქმა, გალაკტიონისეული დეკლამაცია — ლექსს წარმოთქვამდა ამღერებით.

საგულისხმოა ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობა: „გიორგი მეცამეტე ძველ დროთა ჩვეულებრივითა წესითა... ტკბილად აბოლოებდა „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ სტროფს, ე. ი. აბოლოებდა მუსიკალური ტონით!“ გამორკვეულია, რომ ლექსის წამღერებით შესრულება უსაკრავოდ მე-19 საუკუნემდე შერჩა საქართველოს.

საყურადღებოა ცნობა, რომელიც მოგვაწოდა გალაკტიონ ტაბიძემ 1944 წელს მეცნიერებათა აკადემიაში, ჩვენს მიერ წაკითხულ მოხსენებასთან დაკავშირებით („რაჭული კილოს მუსიკალური აქცენტუაცია“). 1913 წელს ახალგაზრდა გალაკტიონს ლექსი წაუკითხავს ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე, რომელსაც თურმე აკაკი წერეთელი ესწრებოდა. მხცოვან პოეტს ახალგაზრდა გალაკტიონისათვის უკითხავს, რაჭული ხომ არა ხარო. როცა პასუხად მიუღია, ემერილი ვარო — ვანდან, უთქვამს, ლექსის ამგვარი კეთება (მახვილები, ინტონაცია, მელოდიურობა) რაჭაშია შემორჩენილი, თუ ქვემო იმერეთის მთიან მხარეშიც ასეა, მაშინ უფრო მყარი საფუძველი ექნება ჩემს დებულებას რაჭაში გადმონაშთის სახით შემორჩენილი უძველესი ქართული კითხვის კანონზომიერების შესახებ, რაზეც სპეციალურ ნაშრომს ვამზადებო.

ამასთანავე გალაკტიონმა დასძინა, რომ იმ დროს მისი „შინაგანი მოთხოვნილება“ იყო ლექსში გამოეყენებინა „და“ კავშირი, — ეს ის პროსოდიული „და“ კავშირია, რომელიც ცნობილია „ვეფხისტყაოსნიდან“. სტროფებს შიგნით „და“-ს ჩართვა მას შეუთვისებია თავის მშობლიურ კუთხეში ღრმად მოხუცი სახალხო მთქმელისაგან.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ რუსთაველისეული პროსოდიული „და“-ს შესახებ მეცნიერებაში გამოთქმულია დებულება, რომ იგი შეთვისებულია ხალხური პოეზიიდან, ამდენად იგი წარმოშობით კონსტრუქციულია, შემდეგ კი მას ფუნქცია დაუკარგავს; ეს „და“ გადმონაშთია, დეკორაციულია რუსთაველთან, ხალხური ზომისათვის კი, საიდანაც ის რუსთაველმა შეითვისა, კონსტრუქციული იყო, როცა ჯერ კიდევ არ იყო ლექსის რითმა, კიდევ მეტიც, არ იყო სომეტრია, თანასწორმარცვლიანობა. ეს აზრი გამოთქმულია აკადემიკოს ნიკო მარის მიერ. მარი მიუთითებდა, რომ პოეზიის განვითარების უძველეს საფეხურზე ლექსს სიმღერა ახლდა, მის ნაწილებს წარმოთქვამდნენ გუნდის მთქმელი (სოლო) და გუნდი, „და“ ამ ორი ნაწილის გამაერთიანებელი იყოო.

ძნელი სათქმელია, თანამედროვე ხალხური პოეზიის ნიმუშებში პროსოდიული „და“ მწირგანობრული წარმოშობისაა თუ ძველი ხალხური ნორმის ამსახველი, მაგრამ სანამდვილია, რომ მისი გადმონაშთები არსებობენ რაჭულსა და მესხურში.

უადრესად საყურადღებოა მესხური სიმღერების ტექსტის მონაცემები. სიმღერის დროს ყოველი სალექსო სტრიქონი თავდება „და“-თი, იგი მარცვალთა რაოდენობაში არ შედის, „ლექსის გარეთაა“. სწორედ სასიმღერო ტექსტიდან უნდა გადასულიყო ეს „და“ პოეტურ ფოლკლორში.

გალაკტიონმა ის ცნობაც მოგვაწოდა, რომ „და“-ს ფართავდა არა სტროფის მეოთხე იტაპის წინ, როგორც ეს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებშია, არამედ წარმოთქმაში იგი თავდებოდა მესამე და მეოთხე ტაპის მიჯნაზე, უფრო ეკიდებოდა მესამე ტაპეს, და მარცვალთა რაოდენობაში არ შედიოდა. 1965 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ნიკო მარის გამოუქვეყნებელი ნაშრომი რუსთაველის შესახებ, აქ მოყვანილია პოემის სტროფები, პროსოდიული „და“ მარის მიერ მოთავსებულია სწორედ მესამე ტაპის შემდეგ, წინააღმდეგ პოემის ტრადიციული გამოცემებისა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ენის მეცნიერული შესწავლა მომავლის საქმეა.

შოთა ძიძიგური,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



გიორგი ლეონიძე და გალაკტიონ ტაბიძე



1928 წ. მაქსიმ გორკი ქართველ მწერლებთან. გალაკტიონ ტაბიძე მეხუთე (მარცხნიდან) მეორე რიგში



გალაკტიონი ვაჟა-ფშაველას მეუღლესთან



გალაკტიონი ქართველ მწერლებთან



მაღიმართება გალაკტიონის ძეგლი

ქართული კონიაკის მამა





საქართველო რომ სამუდამოდ გამოეთხოვა შესანიშნავ მამულიშვილს დავით სარაჯიშვილს, აკაკიმ თქვა — სახელი შენი სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაშიო. დიდმა მგოსანმა ჭეშმარიტად სიმართლე ბრძანა: დავით სარაჯიშვილის სახელი შერჩა შთამომავლობას: ამაგდარი კაცი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული კონიაკის ფუძემდებელი დავით სარაჯიშვილი ქართველ სამოციანელებს ედგა მხარში, იმდროინდელი საქართველოს შენებისა და წინსვლის ხელშემწყობი იყო, ილიასეული დევიზით ხელმძღვანელობდა იგი: „ერის წულული“ საკუთარ წულულად მიაჩნდა და ეკითხებოდა თავის თავს — აბა, დღეს მე ვის რა ვარგეო. თავისი შრომით ამ ადამიანმა მართლაც რომ არგო თავის ქვეყანას და სწორედაც ამით არის საქები დღეს, თავისი დაბადების 125 წლისთავზე.

დავით სარაჯიშვილი დაიბადა თბილისში 1848 წელს. მამა — ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილი იყო იმ ხანებში საქართველოში შემოჭრილი კაპიტალის ცნობილი წარმომადგენელი, განათლებული, გონებამახვილი კაცი. მისი თანამედროვენი იხსენებენ, რომ ზაქარია ყოფილა ხელმოკლე კაცის ხელის გამმართავი, დაჩაგრულის ქომაგი, მშიერ-მწყურვალთა გამკითხავი. დედა — ელისაბედ სოლომონის ასული სავანელი, ზაქარიას მარჯვენა ხელი და ოჯახის ბურჯი, ძველებური ქართული სიბრძნე-გონიერებით ყოფილა აღვსილი. დავითს მშობლებისაგან დაჰყვა თავისი ერისა და ქვეყნის დიდი სიყვარული.

ზაქარიამ დავითს სწავლის სიყვარული ჩაუნერგა. დავითი ჯერ თბილისის ერთ-ერთ პანსიონში სწავლობდა, შემდეგ პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. დავით სარაჯიშვილს ნიჭიერ და ბეჯით მოსწავლედ იცნობდნენ. გიმნაზია 1866 წელს დაასრულა და მეცნიერების საფუძვლების შემდგომი დაუფლებისათვის მოემზადა. ბიოგრაფები გადმოგვცემენ, რომ მამას ერთობ ემძიმებოდა ვაჟიშვილთან განშორება, მაგრამ რაკი ზაქარიამ სწავლა-განათლების ფასი იცოდა, ახალგაზრდა დათიკოს ხელი შეუწყო. დავით სარაჯიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ერთი წლის შემდეგ კი პეტერბურგიდან გერმანიაში გადავიდა.

დავით სარაჯიშვილი ლექციებს ისმენდა მიუნხენში, შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში შევიდა და 1871 წელს დაამთავრა ქიმიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით.

ბიოგრაფები იმასაც ამბობენ, რომ სწავლამოწყურებული ახალგაზრდა ყოველთვის ყაირათიანად და წესიერად ცხოვრობდა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც სწავლობდა სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებს ჯერ გერმანიაში, შემდეგ საფრანგეთში. სწორედ საფრანგეთში გაუჩნდა განსაკუთრებული ინტერესი მეღვინეობისა და მევენახეობისადმი. დავით სარაჯიშვილი ამ საქმეს ერთობ შემოქმედებითად უდგებოდა. საფრანგეთში კონიაკისა და ლიქიორის დამზადებას სწავლობდა, თან საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაზე ფიქრობდა.

მამის სიკვდილის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული, განათლებული და დავაჟკაცებული დავითი საოჯახო მეურნეობას ჩაუდგა სათავეში. ამასთანავე ზრუნავდა იმაზეც, თუ როგორ და რა გზით გაძლიერებულიყო საქართველოს ეკონომიკა. 1887 წელს დავით სარაჯიშვილმა ააგო არყის ქარხანა, ხოლო 1888 წელს მის მიერ აშენებულ ქარხანაში ქართული კონიაკი იშვა, რომლის ეტიკეტს ამშვენებდა კლდეზე გადმომდგარი ჯიხვი. კონიაკი არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში — ლონდონსა და ბერლინში, ვენასა და ჟენევაში, პარიზსა და კონსტანტინოპოლში იყიდებოდა. სარაჯიშვილის კონიაკი ბაზარზე ცნობილი იყო „კავკასიური ნატურალური კონიაკის“ სახელწოდებით. ფირმა უშვებდა 1, 2, 3, 4-ვარსკვლავიან და სამარკო კონიაკებს: „ვინშამპანს“. „გრანდშამპანსა“ და „ოცს“ (ძალიან ძველი). „ჯიხვიანმა“ კონიაკებმა თხუთმეტ წელიწადში სხვადასხვა გამოფენაზე თხუთმეტი მედალი მოიპოვეს. მათ შორის ოქრო ჭარბობდა.

ქართულმა კონიაკმა იმთავითვე გაითქვა სახელი, თუმცა შეფერხებებიც ჰქონდა. 1914 წელს მეფის რუსეთში გამოვიდა „მშრალი კანონი“, რომელიც ალკოჰოლურ სასმელებს კრძალავდა, ხოლო შემდეგ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას იმის თავი არ ჰქონდა, რომ ეროვნული მრეწველობისათვის მიეხედა. ქართული კონიაკის საქმე დაკნინდა, მდარდებოდა ქართული კონიაკის წარმოების ძვირფასი, სარაჯიშვილისეული ტრადიციები.

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოში 1924 წელს შეიქმნა საქართველოს სპირტის სამმართველო, რომელსაც ევალებოდა პურისა და ჭაჭის არყის გამოშვება, ქართული კონიაკის წარმოების აღდგენა. იმავე წელს დამზადდა 2,8 ათასი დეკალიტრი კონიაკი. ამიტომ ეს წელი უნდა მივიჩნიოთ საბჭოური კონიაკების დაბადების თარიღად. სარაჯიშვილისეული კონიაკი აღსდგა, მაგრამ ბევრი რამ მოუწესრიგებელი იყო — კონიაკის საწარმოო მეურნეობა გაპარტახებული იყო, ნედლეული — მცირე და მდარე ხარისხისა. საჭირო იყო საკუთარი ნედლეულის ბაზების შექმნა, რისთვისაც 1929 წელს „სამტრესტს“ გადაეცა ვარციხისა და ზესტაფონის, ხოლო მოგვიანებით გურჯაანის სპირტსახდელი ქარხნები.

დიდი სამამულო ომის პერიოდშიც, ბუნებრივია, შეფერხდა ქართული კონიაკის წარმოება, თუმცა ამ დროს შეიქმნა დავით სარაჯიშვილის ღირსეული შეგირდის ვახტანგ ციციშვილის კონიაკი „ენისელი“. ეს სასმელი „დიდი სამეულის“ თათბირისას ძალიან მოსწონებია ჩერჩილს, ფრანგული ჰგონებია და ძლივს დაარწმუნეს თურმე, რომ ქართულ კონიაკს საქართველოში ქართველი სპეციალისტები ამზადებდნენ.

სარაჯიშვილის საქმის ღირსეული მემკვიდრე ვახტანგ ციციშვილი მთავრობამ ორდენით დააჯილდოვა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც გახდა.

ვახტანგ ციციშვილმა „ენისელის“ შემდეგ ზედიზედ შექმნა კონიაკები „ვარციხე“, „თბილისი“, „გრემი“ და „საიუბილეო“.

ვახტანგ ციციშვილს ძალზე ჰყვარებია თავისი საქმე. კონიაკის ქარხანა მშობლიურ კერად გაიხადა, რომლის მშენებლობაც ომის დამთავრებისთანავე, 1945 წელს დაიწყო ავჭალის გზატკეცილზე. პირველი რიგი 1954 წელს ამუშავდა, ხოლო მეორე — 1957 წელს. ამრიგად შეიქმნა „სამტრესტის“ კონიაკის ქარხანა. იგი კონიაკის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი ქარხანაა საბჭოთა კავშირში. დღეს აქ შრომობენ ადამიანები, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ სარაჯიშვილისა და ციციშვილის საქმეს. ვახტანგ ციციშვილმა ანდერძის თანახმად სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა თავის საყვარელი კონიაკის ქარხნის ეზოში.

ქარხანა ხუთ ჰექტარზე გაიშალა. სკვერებით დამშვენდა ეზო — ხარობენ წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები. ყვავილნარები ამშვენებენ იქაურობას.

დღეს ქართული კონიაკის წარმოებას სათავეში უდგანან ოთარ რობაქიძე და ვალერიან ჭანიშვილი, გივი ნიშნიანიძე და ოთარ ლორთქიფანიძე, კარლო გველესიანი და ალექსანდრე შენგელია, ცალკეული საამქროების მშრომელები. ყველანი ერთად ემსახურებიან საერთო საქმეს — ქართულ კონიაკს.

...ქართული რქაწითელი და ცოლიკაური საუკეთესო მასალას იძლევა კონიაკისათვის. აქ მოაქვთ ღვინით სავსე ცისტერნები. სპეციალისტები მაღალგრადუსიან სპირტს ხდიან და მუხის ვეებერთელა კასრებში ინახავენ. ინახავენ წლობით. ამ დროს ხდება საინტერესო ბუნებრივი გარდაქმნა, გამოხდილი ღვინის სურნელი ერევა მუხის ტკეჩებიდან გამოყოფილ ტანინს. ეს არის ბუნებრივი რეაქცია და არ არსებობს მისი არავითარი ქიმიური ფორმულა. მთავარი ის არის, რომ იქმნება არაჩვეულებრივი, ნაზი ბუკეტის სასმელი ვაზის ყვავილის არომატით.

წლობით ძველდება მუხის კასრებში სპირტი. ძველდება იქამდე, სანამ კონიაკისათვის აუცილებელ კეთილშობილ თვისებას არ შეიძენს. მერე საუკეთესო სპეციალისტები არჩევენ მასალას, დიდოსტატები შრომობენ, სანამ სასურველი მარკის სასმელს არ მიიღებენ. მერე იწყება ჩამოსხმა. ეს არის კონიაკის დამზადების უმაღლესი ტექნოლოგიური ხელოვნების ბოლო აკორდი.

ერთ სამუშაო დღეში 12 ათასი ბოთლი კონიაკი იბადება — ბარე 15 დასახელების ქართული კონიაკი: ვარსკვლავიანი, ორდინარული და სამარკო კონიაკები, რომლებიც მსოფლიოში არიან ცნობილი და ყოველ საერთაშორისო გამოფენასა თუ დეგუსტაციაში ოქროსა და ვერცხლს იხვეჭენ.

იზრდება ქართული კონიაკის ქარხნის მწარმოებლობა. ქართული კონიაკის სახელიც იზრდება, ჩვენებური სასმელით სხვადასხვა ქვეყნების სხვადასხვა ერის ადამიანებს აამებს ქართული ვაზის ნექტარი, როგორც სიმბოლო ხალხთა შორის პატივისცემისა და მეგობრობისა.

ჯემალ ქურხული



ქართული კონიაკის ოქრო და ვერცხლი

ფოტოები მდუარდ გიგილაშვილისა

ფეხბურთი — 1973

საბჭოთა კავშირის 1973 წლის პირველობამ ფეხბურთის მოყვარულთ საკმაოდ ბევრი მოსაგონარი და საკამათო დაუტოვა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ოქროს მედლები (ისევე როგორც სსრ კავშირის თასი) ერევნის „არარატმა“ მოიპოვა, შემტევი, ტექნიკური ფეხბურთის გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ. სომეხმა ფეხბურთელებმა 30 თამაშიდან 39 ქულა მოაგროვეს, მეტოქის კარში გაიტანეს ყველაზე მეტი — 52 ბურთი (მხედველობაში გვაქვს თამაშის ძირითად დროში გატანილი ბურთები), ხოლო საკუთარში 26 ბურთი მიიღეს. ერევნელებმა აგრეთვე ყველაზე მეტი — 18 გამარჯვება მოიპოვეს და მხოლოდ ცხრჯერ განიცადეს მარცხის სიმწარე. „არარატი“ რომ ღირსეული ჩემპიონია, ამაზე ეს ფაქტიც მეტყველებს — მეორე ადგილზე გამოსულ კიევის „დინამოს“ მან მთელი სამი ქულით გაუსწრო.

ერევნელმა ფეხბურთელებმა ალბათ ბევრი მისალოცი დეპეშა მიიღეს. კარის მეზობლების დიდი სიხარული ჩვენც გავიზიარეთ. ქართულმა პრესამ ღირსეულად შეაფასა სომეხ სპორტსმენთა წარმატება და მას ტრიუმფალური უწოდა. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში „არარატის“ უფროსმა მწვრთნელმა ნიკიტა სიმონიანმა, რომელიც ხშირად იცნობს ქართულ ფეხბურთს (იგი სოხუმში დაიბადა და გაიზარდა), განაცხადა:

—„მოიპოვო ჩემპიონობა და თასი — ეს გუნდის ცხოვრებაში იშვიათად ხდება. „არარატმა“ შეძლო თანაბრად ჩაეტარებინა მთელი სეზონი. როგორც მწვრთნელს, განსაკუთრებით მიხარია ის, რომ ჩვენი გუნდი ცდილობდა არა მარტო მიეღწია სასურველი შედეგისათვის, არამედ ეჩვენებინა კიდეც კარგი თანამედროვე თამაში, სწორედ ისეთი, როგორიც მოსწონს მაყურებელს.

ვიცით, რომ მერმის უფრო გაგვიძნელდება, რადგან ჩემპიონს ყველა გაორკეცებული და გახამკეცებული ენერგიით ეთამაშება, მაგრამ ჩვენც ვეცდებით არ შევრცხვინოთ თავი — კვლავაც ვაჩვენოთ ლამაზი, შემტევი ფეხბურთი.

მოხარული ვარ, რომ ესე ბევრი მილოცვა მივიღეთ საქართველოდან, კერძოდ, ჩემი მშობლიური სოხუმიდან. თქვენც გისურვებთ გაგემეორებინოთ 1964 წელი“...

ჩემპიონთა აღმზრდელის ეს სიტყვები ადამიანმა, რომელიც თბილისის „დინამოს“ შორიდან იცნობს, შეიძლება ზრდილობისათვის ნათქვამ სიტყვად ჩათვალოს. მართლაც, რა ოქროს მედლებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გუნდი სამეულშიც ვერ მოხვდა და 31 ქულით მხოლოდ მეხუთე ადგილი იგრო? მაგრამ არა, თბილისის „დინამოს“ შეუძლია დ. პოვალეცაა იბრძოლოს გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასასვლელად. თუ გუნდი თავის პოტენციურ შესაძლებლობას ხასიათის სიმტკიცესა და მონდომებასაც წააშველებს, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება. ყოველ შემთხვევაში, მის ბიოგრაფიაში აღარ შევხვდებით გულდასაწყვეტ დამარცხებებს, აღარ ვიტყვით — გუნდმა მატჩი უბრძოლველად დასთმოო...

ხშირად ლაპარაკობენ: თბილისის „დინამოში“ თაობათა ცვლა მოხდა და გუნდიც კრიზისს განიცდისო. რა თქმა უნდა, მესხის, მეტრეველის, იამანიძის, ბარქაიასა თუ სხვების გუნდიდან წასვლას უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს თბილისის „დინამოში“ საბჭოთა კავშირის ნაკრების ხუთი წევრი თამაშობს. ფეხბურთის მოყვარულთათვის, ჩვენში თუ უცხოეთში, კარგადაა ცნობილი მურთაზ ხურცილავას, რევაზ ძოძუაშვილის, გივი ნოდიასა და ვლადიმერ გუცაევის სახელები, მათთან ერთად ჩვენი ქვეყნის ნაკრებში უკვე მიიწვიეს მანუჩარ მაჩაიძე. სპორტული კომენტატორის ნიკოლოზ ოზეროვის სიტყვებით თუ ვიტყვით, მანუჩარი მართლაც რომ ღირსია იყოს ქვეყნის უპირველესი გუნდის წევრი. უფრო მეტიც, ის იქ ადრეც უნდა მიეწვიათ... დიახ, თბილისელთა ახალგაზრდა ნახევარმცველი კარგა ხანია თავის მაღალტექნიკური, მიზანსწრაფული თამაშით ხიბლავს მაყურებელს. ვფიქრობთ, მანუჩარი შორს გაიტანს ქართული ფეხბურთის სახელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტადიონებს მრავალგზის მოსტაცებს ოვაციებს... ამ ხუთი ფეხბურთელის მხარდამხარ დღევანდელი თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავენ: კახი ასათიანი და დათო ყიფიანი, დავით გოგია და შოთა ხინჩაგაშვილი, ზურაბ წერეთელი და ვახტანგ ჭელიძე, ფირუზ კანთელაძე და ზარიბეგ ებრალიძე, ლევან ნოდია და გოჩა გავაშელი... ღირსეულები ღირსეულებმა შეცვალეს, „დინამო“ კვლავ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად რჩება. თბილისელ ფეხბურთელებს რომ ძალა შესწევთ ქადილისა, მადრიდში გამართულ საერთაშორისო ტურნირში დამტკიცდა. მათ ხომ თვით ესპანეთის „მადრიდი“ და ლისაბონის „ბენფიკა“ დაამარცხეს და კოლუმბის თასი თბილისში ჩამოიტანეს. დინამოელები დამაჯერებლად მიიწევენ წინ უეფა-ს თასის გათამაშებაშიც. ამას წინათ ბელგრადში გამანადგურებელი ანგარიშით (5:1) დაამარცხეს იუგოსლავიის ოფკ-ას გუნდი და მერვედფინალში გავიდნენ. დინამოელთა მეტოქე ამჯერად ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპური“ იქნება.

მართალია საბჭოთა კავშირის 1973 წლის პირველობა ფეხბურთში დამთავრდა, მაგრამ ფეხბურთის მოყვარულთ თვალი კვლავ სტადიონისკენ უჭირავთ.

თბილისის „დინამო“ ამჟამად საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს მართავს თურქეთში; თვის ბოლოს კი შინ ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ უმასპინძლებს, შემდეგ ინგლისში წავა საპასუხო მატჩის გასამართად. თუ როგორი იყო თბილისელი ფეხბურთელებისათვის 1973 წელი, ეს ახალი წლის მიჯნაზე გვეცოდინება. კარგი იქნება, თუ სათქმელად გვექნება — „დინამო“ უეფა-ს თასის მეოთხედფინალში გავიდაო...

დღევანდელი მიმოხილვა კი გვინდა დავამთავროთ ინგლისიდან თბილისის უნივერსიტეტში მოწვეული პედაგოგის, ფეხბურთის კარგი მცოდნის იენ მაკდონალდის სიტყვებით: „თბილისელი ფეხბურთელები თამაშობენ სასიამოვნო სტილით, გამომგონებლობითა და იმპროვიზირებით... თბილისელებს ჰყავთ ხუთი-ექვსი მოთამაშე, რომელთა კრედოა მეტოქის კარის უმოკლესი გზის მონახვა და ხშირი დარტყმა.

მე გამაოცა მაჩაიძემ, ბურთით ფლობის დიდმა ოსტატმა, რომელიც ლივერპულელ კიგანს მაგონებს. მომეწონა ასათიანი, მინდვრის შუაგულის დიდი მოთამაშე, თუმცა ზოგჯერ იგი ზედმეტად აყოვნებს. ყიფიანს შეუძლია რამდენიმე წამში მეტოქის კართან ხაფრთხე შექმნას. ისა და ძმები ნოდიები ერთად შეადგენენ ერთ-ერთ უველაზე მომხიბლავ თავდასხმის ხაზს, რაც კი ოდესმე მინახავს. დაცვაში გამოირჩევიან ხურცილავა და ძოძუაშვილი...

დამიჯერეთ, თბილისის „დინამოს“ ქომაგებო, თქვენ არც კი იცით, რა ბედნიერი ხალხი ხართ!“



● სსრ კავშირის 1973 წლის ჩემპიონი და თასის მფლობელი ერევნის „არარატი“.

ციფრების ენით

ყველაზე მეტი ბურთი თბილისელებისაგან მეტოქის კარში გაიტანა გივი ნოდიამ. „დინამოს“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა 20 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მოწინააღმდეგეს თერთმეტჯერ დააწყებინა თამაში ცენტრიდან.

გივი ნოდიას ეკუთვნის აგრეთვე პირველობა ერთ მატჩში გატანილი ბურთების მიხედვით. მან მინსკის „დინამოსთან“ შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა.

* * *

უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელები ყოველი მატჩის შემდეგ 5-ბალიანი სისტემით აფასებდნენ თავიანთ მოთამაშეებს. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისაგან ყველაზე მეტი ხუთიანი აქვს მიღებული მეკარე დავით გოგიას, მისი თამაში ფრიადზე თხუთმეტჯერ შეფასდა. შემდეგ მოდიან მანუჩარ მაჩაიძე — 13; რევაზ ძოძუაშვილი — 12; კახი ასათიანი — 11, შოთა ხინჩაგაშვილი, ზარიბეგ ებრალიძე და ფირუზ კანთელაძე — 10-10.

სპორტული ქრონიკა



რომან ჯინჯიხაშვილის გამარჯვება

წელს საბჭოთა კავშირის პირველობა ჰადრაკში ერთდროულად ორ ქალაქში — მოსკოვსა და თბილისში გაიმართა. მოსკოვში უძლიერესთა შორის უძლიერესები ასპარეზობდნენ, საქართველოს დედაქალაქი კი პირველი ლიგის მოჭადრაკეებს მასპინძლობდა. გაგვახარა **რომან ჯინჯიხაშვილმა.** მზარდმა მოჭადრაკემ შესანიშნავად წარმართა მთელი ასპარეზობა და 11,5 ქულით ჩემპიონის სახელი მოიპოვა. თბილისელი სპორტსმენი მომავალი წლიდან უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს.

უძლიერესნი — საქართველოს წარგზავნილები

ბუდაპეშტში გამართულ ძიუდოისტთა დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ ავსტრიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და საქართველოს უძლიერესი ჭაბუკები და იუნიორები. დამთავრდა იგი ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა ტრიუმფით. ჭართველმა ფალავნებმა ხუთი პირველი ადგილი მოიპოვეს და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ყველა მეტოქე ჩამოიტოვეს.

თასი — გივი ახვლედიანის აღზრდილებს

ფრენგურთში მსოფლიოს თასის პირველი გათამაშება ურუგვაიში მოეწყო. ათი საუკეთესო გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს საპატიო ჯილდოს. საბჭოთა გუნდი ფინალში შეხვდა ტრადიციულ მეტოქეს — იაპონიის ნაკრებს და გაიმარჯვა. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გივი ახვლედიანმა განაცხადა — გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, ვეცდებით მსოფლიო პირველობაზეც წარმატებით გამოვიდეთო...

კვლავ მეტრეველი

სსრ კავშირის ჩემპიონმა, თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა, რომელიც ინდოეთში იმყოფება საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის შემადგენლობაში, მოიგო ტურნირი ქალაქ პატნაში. გადამწყვეტ შეხვედრაში მან დაამარცხა ინდოეთის ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატი გაურავა მისრა — 6:4, 6:3.

მეცხრე ადგილზე

მეცხრე ადგილი, რომელიც ქუთაისის „ტორპედომ“ პირველ ლიგაში მოასპარეზე 20 გუნდს შორის დაიკავა, ურიგო როდია. „ტორპედო“ ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა ფეხბურთელებით, რომლებიც ეხლა სდგამენ პირველ ნაბიჯებს დიდ სპორტში. ფეხბურთის მცოდნეთა აზრით, ქუთაისის გუნდი პერსპექტიულია და მომავალში უკეთესი შედეგებით წარსდგება გულშემატკივართა წინაშე.

მეგობრობის ვიმპელი

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი, სპორტის ოსტატი ნოდარ ახალკაცი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ერფურტში გამართულ საბჭოთა და გდრ-ის ფეხბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს ესწრებოდა როგორც ჩვენი ქვეყნის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი. მან საქართველოში ჩამოიტანა პატარა ფერადი ვიმპელი, რომლის შესახებ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მოვუთხროთ მკითხველებს.

— გაიგებდნენ თუ არა მასპინძლები — გერმანელი ფეხბურთის სპეციალისტები, უურნალისტები თუ უბრალოდ გულშემატკივრები, რომ მე თბილისიდან ვიყავი,—გვიამბო ახალკაცმა, — როგორც წესი, მეკითხებოდნენ თბილისის „დინამოზე“, სლავა მეტრეველზე, მიხეილ მესხზე, გივი ჩოხელზე, განსაკუთრებით კი — ავთანდილ ღოღობერიძეზე. მასპინძლებს აინტერესებდათ ამ შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელის ჯანმრთელობის ამბავი, გდრ-ის ფეხბურთელებმა ჩვენ საყვარელ ფეხბურთელთან გამომგზავნეს ლამაზი ვიმპელი. ერთ მხარეზე მას ქვეყნის უმაღლესი ლიგის 14-ვე გუნდის ემბლემები ამშვენებს, მეორეზე კი — პატივისცემითა და სიყვარულით ნაკარნახევი წარწერა — **„კეთილი სურვილებით ჩვენს ძვირფას სპორტულ მეგობარს ღოღობერიძეს“.**

თბილისელთა წარმატება

ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში 3-11 ნოემბერს მიმდინარეობდა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამართული ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება „იმედის თასზე“.

ასპარეზობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ უკრაინის, ლიტვის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და საქართველოს გუნდები, საუკეთესოდ გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები. ქართველმა სპორტსმენებმა ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარეს და გარდამავალი ჯილდო — „იმედის თასი“ მოიპოვეს.

მაღალი შეფასება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **თეოფანე დავითაიას** მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. ამასთან დაკავშირებით თეოფანე დავითაიამ თქვა:



— კუბის ეროვნული ატლასის შექმნისათვის მუშაობა ექვსი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ჩვენი ქვეყნიდან მონაწილეობდა შვიდი სამეცნიერო დაწესებულება, მათ შორის ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი. კუბაში მოეწყო რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია, პარალელურად მიმდინარეობდა შეგროვებული სტატისტიკური მასალების მეცნიერული დამუშავება, მათი განზოგადება და სხვადასხვა ხასიათის რუკების შედგენა.

ატლასმა მაღალი შეფასება დაიმსახურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი აღიარებულია სანიმუშოდ ანალოგიურ ნაშრომთა შორის.

კუბის ატლასი პირველია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში განლაგებულ განვითარებად ქვეყნებს შორის. მასში თვალსაჩინოდაა ნაჩვენები ბუნებრივი რესურსები: წიაღისეული სიმდიდრენი, რელიეფი, კლიმატი, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, მტკნარი წყლის რესურსები, ზღვებისა და ოკეანეების დეტალური დახასიათება და, რაც მთავარია, მეცნიერულად არის დასაბუთებული ამ რესურსების გამოყენებისა და მათი შემდგომი განვითარების გზები.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ატლასი შეიქმნა საბჭოთა და კუბელ მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობით, რაშიც გარკვეული წვლილი ჩვენს ინსტიტუტსაც მიუძღვის.

შეხვედრა მხატვართან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დასასვენებელ ოთახში გამოფენილია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მხატვარ ეკატერინე ბაღდავაძის პერსონალური გამოფენა.

ეკატერინე ბაღდავაძე ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებმაც მემკვიდრეობად მიიღეს დაზგური ფერწერის მოვლა-პატრონობის კეთილშობილური საქმე. არც თუ ისე შორეული და მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ მხატვრობას, კერძოდ, ქართულ დაზგურ ფერწერას სჭირდებოდა ღირსეული ცვლა, რომელიც შეძლებდა წინ წაეწია და განვითარებინა ქართული მხატვრობის საშური საქმე. რჩეულთა შორის ქართულ მხატვრობაში მოვიდა ეკატერინე ბაღდავაძე, რომელმაც მოიტანა თავისებური სახე, სტილი, კოლორიტი. მას აქვს თავისი განუმეორებელი სამყარო. იგი ცხოვრობს და იღვწის თავის მიერ წარმოსახულ და დანახულ სამყაროში, მაყურებელს უქმნის პირობას, გაუჩნდეს სურვილი და გახდეს თანამოზიარე იმ ცხოვრებისა, რომელიც ხელოვანს მხატვრულ ტილოზე აქვს გამოსახული.

დღეს ეკატერინე ბაღდავაძე, უკვე თმაშეგერცხლილი, გაჰყურებს თავის მიერ განვლილ გზას და არავინ იცის თუ როგორ აფასებს იგი ყველაფერ ამას, მხოლოდ მისი შემოქმედების მნახველი გამოხატავს თავის მადლობას ამ შესანიშნავი ხელოვნის მიმართ.

ამ გრძნობით მოიყარეს თავი უნივერსიტეტის ამ დარბაზში მხატვართან შეხვედრაზე პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მხატვრის მეგობრებმა, მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა.

შეხვედრა გახსნა და მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნების საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანმა დოც. გ. ხარატიშვილმა. მან ილაპარაკა გამოფენის მნიშვნელობაზე და ეკატერინე ბაღდავაძის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე.

საინტერესო მოხსენებით გამოვიდა უნივერსიტეტის პროფესორი სოლომონ ხუციშვილი.

მან აღნიშნა მხატვრის ის ღირსებები, რომლებმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ფერწერის გამომსახველი იმ საშუალებების შესახებ, რომლებიც ჭარბად არის ეკატერინე ბაღდავაძის შემოქმედებაში.

საინტერესოდ ესაუბრა დამსწრეთ ე. ბაღდავაძის შემოქმედებაზე უნივერსიტეტის დოცენტი გ. კობიაშვილი.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა ინგლისელმა მწერალმა დონალდ რეიფილდმა, რომელიც სტუმრად არის საქართველოში.

მხატვარს მიესალმნენ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილების II კურსის სტუდენტი მ. დადიანი და სხვები.

დასასრულს, ეკატერინე ბაღდავაძემ დამსწრეთ დიდი მადლობა გადაუხადა.

მამია ახობაძე

გამოიწერეთ გაზეთი „სამშობლო“!

ავსტრალია

New World Booksellers,
425, Pitt Street,
Sydney, N. S. W.

Spring Bookshop,
7 Collins Street,
Melbourne, Victoria

Peoples Bookshop,
205 Brunswick Street, Valley,
Brisbane, Queensland

ავსტრია

15 – 10
Globus, Vaz
Hoechstaedtpl. 3
A-1200 Wien, Osterreich

ალჟირი

SNED 3, Bd. Zirout Youcef
Alger

აშშ

Stechert-Hafner, Inc.,
31 East 10th Street,
New York 3, N. Y.

Schoenhof's Slavic Books, Inc.,
1280 Massachusetts Avenue,
Cambridge 38, Mass.

ახალი ზელანდია

Progressive Books,
14 – 16 Darby Str.,
Auckland C. I.

ბელგია

Librairie
Du Monde Entier
Place St. Jean, 5
Bruxelles

ბრაზილია

Livraria «Intunliv»
Rua Senador Dantas 117,
Sobre Loja 206,
Rio de Janeiro

Livraria «Stjepan Rozov»
Rua 24 de Maio, 35,
Sala 1213
São Paulo

დასავლეთ ბერლინი

Kawe
Kommissionsbuchhandlung
I Berlin 12 (Charlottenburg)
Hardenbergplatz 13

დასავლეთ გერმანია

Brücken-Verlag GmbH
Ackerstraße 3 (Worringerplatz)
4 Düsseldorf I

W. E. Saarbach GmbH
Ausland-Zeitungshandel
5 Köln I
Postfach 1510

Presse-Vertriebs-Gesellschaft
mbH
Börsenstraße 13 – 15
6 Frankfurt am Main

ეგვიპტე

Modern Age Establishment
Dar-El-Shark Bookshop,
8, Talaat Harb Str.,
Cairo

ინგლისი

Central Books Ltd.,
37 Grays Inn Road,
London W. C. I

Collet's Holdings Ltd.,
Denington Estate,
Wellingborough, Northants

ინდოეთი

People's Publishing
House (Private) Ltd.,
Rani Jhansi Rd.,
New Delhi-1

ზოგიერთი მისამართი, სადაც შეიძლება გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი

ირანი

Bookstore Sako Hovsepian 48,
Avenue Marshal Stalin,
Teheran

«Gutemberg»
Khiabane Manuchehri,
Teheran

იტალია

Associazione
Italia – URSS
Via Edilio Raggio, 1 – 6
16124 Genova

Associazione
Italia – URSS
Sezione di Milano
Via Dogana, 4
Milano

So. Co. Lib. Ri.
Piazza Margana, 33
00186 Roma

კანადა

Periodica, Inc.,
7045 Avenue du Parc
Montreal 15, Que.

კუბა

Distribuidora Nacional
de Publicaciones
Neptuno, 674, Apartado
1356
Habana, Cuba

ნორვეგია

Tanum-Cammermeyer
(Subscription-Centre)
Karl Johansgt, 43
Oslo I

პაკისტანი

Standard Publishers, Ltd.,
3/10, Liaquat Avenue,
Dacca-1

საბერძნეთი

«Themelio»
57 Akademias,
T. T. 143,
Athens

საფრანგეთი

Librairie du Globe
2, rue de Buci
75 – Paris 6e

Les Livres Etrangers
10, Rue Armand Moisant
75 – Paris 15e

სირია

Alep
General Press Company
Nizam Bros Kayyali
29 Ayyak Street
P. O. Box 2366
Damas

ურუგვაი

«Anteo Ltda»
18 de Julio 1333
Montevideo

შვეიცარია

Genossenschaft
Literaturvertrieb
46, Feldstraße
8004 Zürich

Naville et Cie
5 – 7, rue Lèvrier
Genève

ჩილე

Empresa Editoria «Austral»
Ltda.
Casilla 13201, San Francisco 36
Santiago de Chile

ჰოლანდია

«Pegasus» Boekhandel,
Leidsestraat 25
Amsterdam

ცხადდება ხელმოწერა 1974 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე!“

ABONNEZ VOUS AU JOURNAL «SAMCHOBLO» POUR 1974!

ABONNIERT DIE ZEITUNG «SAMSCHOBLO» FÜR DAS JAHR 1974!

SUBSCRIBE FOR THE NEWSPAPER «SAMSHOBLO» FOR 1974!

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.